მეორდება შარშანდელი ისტორია

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 16 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 0:1 (0:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, ქანთარია (გავაშელი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ესებუა.

“ზენიტი”: ოლეინიკი, ა. დერიომოვი, ი. დერიომოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, სტრეპეტოვი, ნიკოლაევი (ზინჩენკო), მარკინი, ხრომჩენკოვი (ლებედევი), ბულავინი.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გაფრთხილება მიიღეს გოლუბევმა და სადირინმა.

დუბლიორები – 1:1.

შარშანდელი ისტორია მეორდება – ეს ცხადია. განვლო ჩემპიონატის ორმა ტურმა, დინამოელებს კი, ისევე როგორც შარშან, სულ 1 ქულა აქვთ. მაგრამ მთავარი მსგავსება და ანალოგია ამ ციფრობრივ მაჩვენებლებში იმდენად არაა, რამდენადაც თვით გუნდის თამაშში. რადიკალურ ცვლილებებს, რამდენადმე მაინც ხელშესახებ პროგრესს ვერ ვხედავთ და, თუ შარშან თბილისელთა სუსტ თამაშს წინასასეზონო მზადებაში დაშვებული შეცდომებით ვხსნიდით, ახლა ასეთი არგუმენტების მოშველიება, უბრალოდ, არასერიოზულობა იქნებოდა. პერიოდმა, რომელიც წინ უძღოდა ჩემპიონატის დაწყებას, თითქოს, დამაკმაყოფილებლად, ნორმალურად ჩაიარა. თუ გუნდის ხელმძღვანელობის განცხადებებს დავუჯერებთ, თბილისშიც და ლესელიძეშიც ყველაფერი გეგმის შესატყვისად მიმდინარეობდა.

და აი, ისევ მარცხიანი სტარტი. როცა “დინამო” მინდორზე გამოვიდა, მაყურებელმა პირველ ყოვლისა ის შეამჩნია, რომ მოსკოვის “ლოკომოტივთან” ნათამაშებ შემადგენლობაში არც ერთი ცვლილება არ იყო მომხდარი. ბრძოლა უნდა დაეწყო ისევ იმ 11 ფეხბურთელს, ესე იგი მათ მწვრთნელები უნდობლობას არ უცხადებდნენ და კოლექტივი კვლავ მათი იმედით რჩებოდა.

რა თქმა უნდა, იოლ მატჩს არავინ ელოდა, ვინაიდან ტეშკენტში ანგარიშით 0:3 წაგების შემდეგ “ზენიტი” მთელი შესაძლებლობით იბრძოლებდა თბილისში. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ეს გუნდი “ფახთაქორთან” ასე დამარცხდა, თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ იგი სულაც არაა “ამა ქვეყნის ძლიერთა” წარმომადგენელი და 2 ქულის აღება მასთან, ისიც შინ, გადაუჭრელ პრობლემად არ უნდა ქცეულიყო. ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს: თუ საკუთარ მინდორზე ვერ გაიმარჯვე გუნდთან, რომელიც ტაშკენტში მარცხდება ანგარიშით 0:3, ვერ ყოფილა კარგად საქმე!

უწინ ხშირად ვსაყვედურობდით ზოგიერთ მოთამაშეს იმის გამო, რომ არ იჩენდნენ საჭირო მონდომებას და აქტიურობას, უსარგებლოდ იდგნენ, ხშირად ეთიშებოდნენ ბრძოლას, ზარმაცობდნენ და ა.შ. ახლა ასეთ პრეტენზიები, ყოველ შემთხვევაში, ლენინგრადელებთან ჩატარებულ მატჩში, არა გვაქვს. მინდორზე არავინ გაჩერებულა უსაქმოდ, ენერგიაც საკმარისად დაიხარჯა, მაგრამ, ეტყობა, ასეთი თამაშის მთავარი მიზეზი თვით გუნდის, უფრო სწორად, მისი რამდენიმე წევრის დაბალ კლასში მდგომარეობს.

ამ წერილში ასეთ მოთამაშეთა ჩამოთვლა არ იქნებოდა მართებული – რას სთხოვ კაცს, თუ მეტი არ შეუძლია? მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ ტრიბუნაზე და ვუყუროთ ჩვენს ოდესღაც სახელგანთქმულ გუნდს, თუ როგორ უიმედოდ არიგებს იგი ქულებს თავისსავე მინდორზე დებიუტანტებთან, აუტსაიდერებთან, წინ კი კალენდარში უძნელესი გასვლითი მატჩებია მოსკოვის "დინამოსთან", "სპარტაკთან", "არარატთან"…

განვლილმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენს გუნდს ახლა ძალიან სუსტი, უმწეო თავდასხმა ჰყავს, არ გააჩნია მაღალი კლასის, თანამედროვე ტიპის ნახევარდაცვა, საკმაოზე მეტად ხანდაზმული დაცვის ხაზი კი მუდამ ვერ უძლებს დიდ დატვირთვებს და, როცა წინა რგოლები ასე უხეიროდ თამაშობენ, არაა დაზღვეული შეცდომებისგან.

რატომ წავაგეთ "ზენიტთან"? შემთხვევით ან უიღბლობით, როგორც ეს ხშირად ხდება ფეხბურთში? რა თქმა უნდა, ეს ელემენტებიც იყო ამ შეხვედრაში, ვინაიდან პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე და მეორის საკმაოდ დიდ მონაკვეთში ლენინგრადელები არაერთხელ გადაურჩნენ აშკარა გოლს. მათ დაუფასებელი სამსახური გაუწიეს მეკარე ოლეინიკმაც და ჭელიძემაც, რომელმაც რიგიანად ვერ დაარტყა 11–მეტრიანი, მაგრამ სტუმრებს შემთხვევით არ გაუმარჯვიათ.

რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ "ზენიტი" უფრო გეგმიანად, მობილურად, უფრო ჭკვიანურად და ეკონომიურად თამაშობდა? მათაც ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა იმის გარდა, როცა მარკინმა მეტოქის კარი აიღო მე–16 წუთზე, ხოლო შუა მინდორზე თამაშით, უზუსტო გადაცემებით, ცალკეული ფეხბურთელების სამოქმედო დიაპაზონის მასშტაბებით, დინამიკითა და მოძრაობით ისინი დინამოელებზე მაღლა იდგნენ.

თბილისის "დინამოს" 4 შესაძლებლიდან თავის მინდორზე მხოლოდ 1 ქულა აქვს მოპოვებული და უახლოეს მატჩებში, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მას მძიმე განსაცდელი ელის. შარშანდელი ისტორია მეორდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მივცეთ ისტორიას იმავე გზით მსვლელობის უფლება. გუნდის ხელმძღვანელობამ და თოთოეულმა ფეხბურთელმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ სწორედ ამ უახლოეს ძნელ შეხვედრებში გამოასწორონ მდგომარეობა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს რთული ამოცანა შესრულდება, მალე გუნდს დაუბრუნდებიან ასათიანი, ხინჩაგაშვილი, ყიფვიანი, მათს ზურგს უკან არიან პერსპექტიული მოთამაშეები – მუჯირი, ხიზანიშვილი, დარასელია, ჩივაძე, კოპალეიშვილი, შელია. ძალები საკმაოდ იქნება საიმისოდ, რომ კოლექტივმა დაიბრუნოს ის ადგილი საბჭოთა ფეხბურთში, რომელიც ათეული წლების მანძილზე ეკავა.

ბ. ქორქია.
"ლელო", 19 აპრილი, 1975 წ.